I

ტესტი გეოგრაფიაში

2013

ინსტრუქცია

თქვენ წინაშეა საგამოცდო ტესტის ბუკლეტი, რუკა და პასუხების ფურცელი.

გაითვალისწინეთ, გასწორდება მხოლოდ პასუხების ფურცელი!

პასუხების ფურცლის გაკეცვა დაუშვებელია!

ყურადღებით გაეცანით ტესტის ყოველი დავალების ინსტრუქციას, კარგად გაიაზრეთ თითოეული დავალების მოთხოვნა და შემდეგ დაიწყეთ მუშაობა. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილზე. პასუხების ფურცელში არ შეიძლება გაკეთდეს ზედმეტი სახის მინაწერები (სახელი, გვარი ან სხვა აღნიშვნა). ნაშრომები, რომელშიც იქნება მსგავსი აღნიშვნები, არ გასწორდება!

ტესტზე მუშაობისას შეგიძლიათ გამოიყენოთ საქართველოსა და მსოფლიოს ფიზიკური რუკები.

წერეთ გარკვევით და იმყოფინეთ პასუხებისათვის განკუთვნილი ადგილები.

ყოველ შეკითხვას გაეცით კონკრეტული და ამომწურავი პასუხი.

შავი სამუშაოსათვის შეგიძლიათ გამოიყენოთ ტექსტში არსებული ცარიელი ადგილები.

ტესტის მაქსიმალური ქულაა - 70

ტესტზე სამუშაოდ გეძლევა 3 საათი.

გისურვებთ წარმატებას!

- *კითხვა არჩევითი პასუხებით*

ინსტრუქცია

თითოეულ კითხვაზე მოცემულია ოთხი პასუხი. მათგან მხოლოდ ერთია სწორი. თქვენ მიერ არჩეული პასუხის სწორად მონიშვნის ერთადერთი გზა პასუხების ფურცლის სათანადო უჯრაში X ნიშნის დასმაა. თითოეული დავალება ფასდება 1 ქულით.

1. **ბერძენი სწავლულების მიერ, ჩვენს წელთაღრიცხვამდე შედგენილი რუკის მიხედვით, რომელ ტერიტორიაზე *<u>არ ჰქონდათ</u>* მათ ინფორმაცია?**
   ა. კოლხეთის დაბლობზე
   ბ. მესოპოტამიის დაბლობზე
   გ. ბრიტანეთის კუნძულებზე
   დ. გიბრალტარის სრუტეზე

2. **რომელი ქარის მოძრაობის სქემაა ასახული სურათზე?**
   ა. ბრიზის
   ბ. პასატის
   გ. მუსონის
   დ. ფიონის



3. **რომელმა მოგზაურმა უწოდა მსოფლიოს ყველაზე დიდ ოკეანეს - „წყნარი"?**
   ა. ქრისტეფორე კოლუმბმა
   ბ. ფერნანდო მაგელანმა
   გ. აბელ ტასმანმა
   დ. ვასკო და გამამ
4. **რა გეოგრაფიული შეცდომა დაუშვა ქრისტეფორე კოლუმბმა?**
   ა. მოგზაურობის დღიურის წარმოებისას არ გაითვალისწინა თარიღთა ცვლის ხაზის გადაკვეთა
   ბ. აღმოჩენილი მიწები ინდოეთად მიიჩნია
   გ. მიიჩნია, რომ ინდოეთისკენ საზღვაო გასასვლელი აფრიკის შემოვლით არ არსებობდა
   დ. კუნძული კუბა რუკაზე ეკვატორის სამხრეთით დაიტანა
5. **რომელი ქალაქის გეოგრაფიული კოორდინატებია: 14°35′ ჩ.გ. და 121°00′ ა.გ.?**
   ა. ველინგტონის
   ბ. მანილას
   გ. ტრიპოლის
   დ. მონტევიდეოს
6. **რუსეთის ფედერაციის რომელ ავტონომიურ რესპუბლიკასთან აკავშირებს საქართველოს მამისონის უღელტეხილი?**
   ა. ინგუშეთის
   ბ. ჩეჩნეთის
   გ. ჩრდილოეთ ოსეთის
   დ. ყარაჩაი-ჩერქეზეთის
7. **რომელი სტიქიური მოვლენაა ყველაზე მეტად დამახასიათებელი კოლხეთის დაბლობისთვის?**
   ა. ღვარცოფი
   ბ. წყალდიდობა
   გ. მიწისძვრა
   დ. მეწყერი
8. **საქართველოს ტერიტორიაზე, რომელი მდინარის აუზში უკავია თანამედროვე გამყინვარებას ყველაზე დიდი ფართობი?**
   ა. ენგურის
   ბ. თერგის
   გ. ალაზნის
   დ. რიონის
9. **რომელი მხარე გამოირჩევა კარსტული მღვიმეების სიუხვით?**
   ა. მცხეთა-მთიანეთი
   ბ. იმერეთი
   გ. სამცხე-ჯავახეთი
   დ. გურია
10. **რომელი დაცული ტერიტორია მდებარეობს კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედის ჩრდილოეთის ფერდობზე?**
   ა. ლაგოდეხის ნაკრძალი
   ბ. რიწის ნაკრძალი
   გ. თუშეთის ეროვნული პარკი
   დ. ვაშლოვანის ეროვნული პარკი
11. **რომელია ეროვნული პარკი?**
   ა. ბაბანეურის
   ბ. კაცობურის
   გ. კოლხეთის
   დ. ლიახვის

12. **რომელ ნაკრძალში უკავია უთხოვარის კორომს ყველაზე დიდი ფართობი?**
ა. ბაწარას
ბ. კინტრიშის
გ. ალგეთის
დ. აჯამეთის

13. **რომელია მართებული მსჯელობა ქვემო ქართლის მოსახლეობის შესახებ?**
ა. ბუნებრივი მატების მაჩვენებელი ერთ–ერთი ყველაზე მაღალია საქართველოში
ბ. მოსახლეობაში ხანდაზმულთა ხვედრითი წილი ყველაზე მაღალია საქართველოში
გ. ქალაქის მოსახლეობის 2/3 ცხოვრობს ქალაქ მარნეულში
დ. გამოირჩევა ურბანიზაციის ძალზე მაღალი დონით

14. **რომელი მუნიციპალიტეტი გამოირჩევა ხორბლის ნათესების ფართობის სიდიდით?**
ა. ზესტაფონის
ბ. ახალქალაქის
გ. სენაკის
დ. დედოფლისწყაროს

15. **რომელ რეგიონს უჭირავს თხილის წარმოების მიხედვით პირველი ადგილი?**
ა. იმერეთს
ბ. სამეგრელო-ზემო სვანეთს
გ. შიდა ქართლს
დ. სამცხე-ჯავახეთს

16. **რას უწოდებენ გეოლოგიური წარსულიდან შემორჩენილ ფლორისა და ფაუნის წარმომადგენლებს?**
ა. რეფუგიუმს
ბ. საპროფიტს
გ. ენდემს
დ. რელიქტს

17. **რა მიზნით ხორციელდება ტყის სანიტარული ჭრა?**
ა. აუცილებელი ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებების განხორციელებისთვის
ბ. კარიერების დამუშავებისას ადგილის გაწმენდისთვის
გ. კონკრეტული სახეობის გამრავლებისთვის
დ. მავნებლების გავრცელების თავიდან აცილებისთვის

18. **რომელი მდინარე გაედინება ევროკავშირის ქვეყნებზე?**
ა. ვოლგა
ბ. დუნაი
გ. დნეპრი
დ. დონი

19. **რომელი ქალაქია აშშ-ს ავტოინდუსტრიის ცენტრი?**
ა. ნიუ-იორკი
ბ. ჩიკაგო
გ. დეტროიტი
დ. ჰიუსტონი

20. **რომელ ქვეყანაშია მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა კათოლიკური რელიგიის მიმდევარი?**
ა. გერმანიაში
ბ. უკრაინაში
გ. ბრაზილიაში
დ. აშშ-ში

21. აფხაზეთის რომელი მუნიციპალიტეტის მრეწველობაში ჭარბობს ელექტროენერგიის წარმოება?



ა. სოხუმის
ბ. გულრიფშის
გ. ოჩამჩირის
დ. გალის

22. რომელი რუკის ფრაგმენტია მოცემული ილუსტრაციაზე?



ა. ბუნებრივი მოძრაობის დინამიკის
ბ. მოსახლეობის დინამიკის
გ. ეროვნული შემადგენლობის
დ. მოსახლეობის საშუალო სიმჭიდროვის

23. ჩამოთვლილი სახელმწიფოებიდან რომელშია მოსახლეობის სიმჭიდროვე 1 კმ²-ზე 10 კაცზე ნაკლები?



ა. ალჟირში
ბ. ლიბიაში
გ. მაროკოში
დ. ტუნისში

24-25. დააკვირდით ევროპის სახელმწიფოების საერთაშორისო ვაჭრობის რუკას და უპასუხეთ კითხვებს:



24. რომელი სახელმწიფოს ექსპორტში ჭარბობს სათბობის ხვედრითი წილი?

ა. თურქეთის
ბ. გაერთიანებული სამეფოს
გ. პოლონეთის
დ. ნორვეგიის

25. რომელ სახელმწიფოს გააჩნია დადებითი სავაჭრო ბალანსი (სალდო)?

ა. ირლანდიას
ბ. საფრანგეთს
გ. ესპანეთს
დ. უკრაინას

26. რას უწოდებენ მოსახლეობის აღწარმოების ერთი ტიპის მეორეთი შეცვლას?

ა. დემოგრაფიულ აფეთქებას
ბ. დემოგრაფიულ სტაბილიზაციას
გ. დემოგრაფიულ გადასვლას
დ. დემოგრაფიულ ოპტიმუმს

- ***შესაბამისობის დადგენა***

ინსტრუქცია

დაადგინეთ შესაბამისობა დავალებაში მოცემულ ორ სხვადასხვა ტიპის ჩამონათვალს შორის. გაითვალისწინეთ, რომ შესაძლებელია პასუხების გამეორება. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცელში მოცემულ ცხრილში, თითოეულ ასოს ქვემოთ მიუწერეთ შესაბამისი ციფრი. დავალების მაქსიმალური ქულაა 2.

27. დაადგინეთ შესაბამისობა (გაითვალისწინეთ, რომ შესაძლებელია პასუხების გამეორება):

	ქედი		მხარე
ა.	გუდამაყრის	1.	რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი
ბ.	შოდა-კედელას	2.	მცხეთა-მთიანეთი
გ.	პირიქითას	3.	სამცხე-ჯავახეთი
დ.	ნიალისყურის	4.	კახეთი
ე.	სამსარის		
ვ.	მთიულეთის		
ზ.	ხარულის		

ა.	ბ.	გ.	დ.	ე.	ვ.	ზ.

28. დაადგინეთ შესაბამისობა (გაითვალისწინეთ, რომ შესაძლებელია პასუხების გამეორება):

	სამხარეო ერთეული		ეროვნული პარკი
ა.	იმერეთი	1.	კოლხეთის
ბ.	სამეგრელო–ზემო სვანეთი	2.	ბორჯომ-ხარაგაულის
გ.	აჭარა	3.	თბილისის
დ.	მცხეთა-მთიანეთი	4.	მტირალას
ე.	სამცხე-ჯავახეთი		
ვ.	გურია		
ზ.	ქვემო ქართლი		

ა.	ბ.	გ.	დ.	ე.	ვ.	ზ.

29. **დაადგინეთ შესაბამისობა (გაითვალისწინეთ, რომ შესაძლებელია პასუხების გამეორება):**

	ქალაქი		მეგაპოლისი
ა.	ფილადელფია	1.	ბოსტვაში
ბ.	ჩიკაგო	2.	ჩიპიტსი
გ.	ვაშინგტონი	3.	სან-სანი
დ.	სან-ფრანცისკო		
ე.	ბოსტონი		
ვ.	პიტსბურგი		
ზ.	ლოს-ანჯელესი		

ა.	ბ.	გ.	დ.	ე.	ვ.	ზ.

30. **დაადგინეთ შესაბამისობა (გაითვალისწინეთ, რომ შესაძლებელია პასუხების გამეორება):**

	ზღვა		ოკეანე
ა.	ჩრდილოეთის	1.	ატლანტის
ბ.	არაბეთის	2.	ინდოეთის
გ.	ფიჯის	3.	ჩრდილოეთის ყინულოვანი
დ.	წითელი	4.	წყნარი
ე.	ფილიპინის		
ვ.	ადრიატიკის		
ზ.	გრენლანდიის		

ა.	ბ.	გ.	დ.	ე.	ვ.	ზ.

31. **დაადგინეთ შესაბამისობა (გაითვალისწინეთ, რომ შესაძლებელია პასუხების გამეორება):**

	სახელმწიფო		საერთაშორისო ორგანიზაცია
ა.	საუდის არაბეთი	1.	ნატო
ბ.	ფინეთი	2.	ევროპის კავშირი
გ.	თურქეთი	3.	ოპეკი
დ.	შვედეთი		
ე.	კანადა		
ვ.	ირანი		
ზ.	კვიპროსი		

ა.	ბ.	გ.	დ.	ე.	ვ.	ზ.

- *რუკის ანალიზი*

ინსტრუქცია
ყურადღებით შეისწავლეთ დავალებებში მოცემული რუკები (კონტურული, ფიზიკური, ტოპოგრაფიული და სხვ.) და უპასუხეთ კითხვებს. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცელში გამოყოფილ შესაბამის ადგილას. ქულათა რაოდენობა განისაზღვრება კონკრეტული დავალების მიხედვით.

32. (10) ყურადღებით შეისწავლეთ მოცემული რუკა (იხ. გვ. 10) და უპასუხეთ კითხვებს:

32.1. რომელ ოთხკუთხედში მდებარეობს ავსტრია?

32.2. რომელ ოთხკუთხედშია მსოფლიოს უმაღლესი მწვერვალი?

32.3. რომელ ოთხკუთხედშია მსოფლიოს უღრმესი ადგილი?

32.4. რომელ ოთხკუთხედშია ბერმუდის კუნძულები?

32.5. რომელ ოთხკუთხედზე გაედინება დასავლეთის ქარების დინება?

32.6. რომელ ოთხკუთხედშია ნავთობის მომპოვებელი უმსხვილესი რეგიონი?

32.7. რომელ ოთხკუთხედშია დიდი ტბების სისტემა?

32.8. რომელ ოთხკუთხედზე გაედინება მსოფლიოს ყველაზე წყალუხვი მდინარე?

32.9. რომელ ოთხკუთხედში მდებარეობს ფუკუსიმას ატომური ელექტროსადგური?

32.10. რომელ ოთხკუთხედს შეესაბამება ფიზიკური რუკის ფრაგმენტი (I)?

32.1.	
32.2.	
32.3.	
32.4.	
32.5.	
32.6.	
32.7.	
32.8.	
32.9.	
32.10.	


1
2
3
4
5
6
7
8
9
10
11
12
13
14
15
0 1000 2000
I
ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗ
ᲙᲘᲡᲐᲜᲒᲐᲜᲘ
ᲙᲐᲛᲞᲐᲚᲐ
5120
ᲕᲘᲥᲢᲝᲠᲘᲐᲡ ᲢᲑᲐ
5199
ᲜᲐᲘᲠᲝ
5895
ᲐᲤᲠᲘᲙᲘᲡ
ᲙᲘᲒᲝᲛᲐ
ᲙᲐᲜᲐᲜᲒᲐ
ᲢᲐᲜᲒᲐᲜᲘᲙᲐᲡ ᲢᲑᲐ
ᲓᲝᲓᲝᲛᲐ
ᲛᲗᲘᲐᲜᲔᲗᲘ
ᲛᲕᲔᲠᲣᲡ ᲢᲑᲐ

33. (6) ტოპოგრაფიული რუკის (იხ. გვ. 12-13) გამოყენებით უპასუხეთ კითხვებს:

<u>კითხვები:</u>

33.1. (2) ტურისტთა ორი ჯგუფი რუკაზე აღნიშნული A და B წერტილებიდან აპირებს მ. ქანორის დალაშქვრას. რომელი მარშრუტია უფრო მარტივი? პასუხი დაასაბუთეთ.

33.2. (1) გამოთვალეთ B წერტილიდან დაძრული ჯგუფის მარშრუტის საწყის და საბოლოო წერტილებს შორის სიმაღლეთა სხვაობა. აჩვენეთ გამოთვლის პროცესი.

33.3. (3) რომელი ორი სახის სასარგებლო წიაღისეულის სამრეწველო მოპოვება ხდება მოცემულ ტერიტორიაზე? პასუხი დაასაბუთეთ.


A
B
212.8
205.8
203.0
201.3
200
189.1
167.2
170.0
173.4
171.3
160
177.5
175
170
164.0
156.1
150
150.4
146.3
152.7
141.2
142.7
149.7
158.0
156.8
160.6
156.2
137.5
135
ხალთა
ზენარის
ბაღი
ბაღნახ
ბაღნახ
ბაღნახ
ბაღნახ
ბაღ. ნახ
ბაღ. ნახ
ბაღ.

რელიეფი



ა) ძირითადი ჰორიზონტალები
ბ) ძირითადი გამსხვილებული ჰორიზონტალები
გ) ჰორიზონტალების სიმაღლის ნიშნულები მ-ში
დ) კალთის დახრის მაჩვენებლები (ბერგშტრიხები)



სიმაღლის ნიშნულები ა) ძირითადი ბ) ჩვეულებრივი



სიმაღლის ნიშნულები ორიენტირებით



სახელმწიფო გეოდეზიური ქსელის პუნქტები



ორმოები

ფლატე (ბექი) (16 სიღრმე მ-ში)

ხრამები და დარტაფები

მცენარეული საფარი და გრუნტი

წიწვოვანი ტყე

ფართოფოთლოვანი ტყე

შერეული ტყე

ხემცენარეების მახასიათებლები მ-ში: 20-საშუალო სიმაღლე. 0.20-მერქნის საშულო სისქე, 6-ხეებს შორის საშუალო მანძილი

ტყის ვიწრო ზოლები და დაცვითი ტყის ნარგავები (2- ხეების საშუალო სიმაღლე მ-ში)



ორიენტირის მნიშვნელობის მქონე ცალკე მდგომი ხეები: ა) წიწვოვანი ბ) ფართოფოთლოვანი

ახალი ტყის ნარგავების სიმაღლე 4 მ-მდე (2- ხეების საშუალო სიმაღლე მ-ში)



ა) ქარქცეული ტყე ბ) მეჩხერი ტყე



ა) გაჩეხილი ტყე ბ) გადამწვარი და ძირზემხმარი ხეები



განაჩეხი ტყეში
განაჩეხის სიგანე მ-ში



ბუჩქნარი ა) ცალკე მდგომი ბუჩქები და ბუჩქების დაჯგუფებები; ბ) ხშირი ბუჩქნარი



ა) მდელოს მცენარეულობა
ბ) ლელქაშის და ლერწმის ტიპის საფარი

ხეხილის ბაღი



ადვილადგასავლელი ჭაობები

საგზაო ქსელი

ერთლიანდაგიანი რკინიგზა ბაქნები, გზაგასაყარები

მიწაყრილებზე (ა) და ჩაღრმავებებში (ბ) გაყვანილი რკინიგზები (2-სიმაღლე ან სიღრმე მ-ში)

ვიწროლიანდაგიანი რკინიგზა

გზატკეცილი და ხიდი

გაუმჯობესებული გრუნტის გზები გასწვრივი მცენარეული ნარგავებით

გრუნტის გზები

მინდვრის და ტყის გზები

ზამთრის გზები

ფიჩხფენილი (ჭაობზე გადასასვლელად)

დასახლებული პუნქტები და მათი წარწერები

კვარტლები

ცეცხლგამძლე ნაგებობების სიჭარბით

არაცეცხლგამძლე ნაგებობების სიჭარბით

ხალთა
33
ჩხავთა

სოფლები 20-დან 1000-მდე სახლების რაოდენობით
33 - სახლების რაოდენობა

სოფლები 20-ზე ნაკლები სახლით

ცალკეული ადგილობრივი ნაგებობები



ქარხნები და ფაბრიკები

მოქმედი მაღაროები

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ადგილები
თიხ.- მოპოვებული მასალა 10 - კარიერის სიღრმე მ-ში

ტორფის მოპოვება

ქარის წისქვილები

საფუტკრეები

ანძის ტიპის ნაგებობები



სასაფლაოები

კავშირგაბმულობის ხაზები

ჰიდროგრაფია



მდინარეები, ნაკადულები, ტბები

ჭები

წყაროები

ტოპოგრაფიულ რუკებზე მიღებული შემოკლებები

არყ.	აყის ხე	ქვ	ქვიშის კარიერი
ფიჭ.	ფიჭვი	ნახ	ქვანახშირი
ნაძ.	ნაძვის ხე	თიხ	თიხა
აქ	აგურის ქარხანა	მაღ.	მაღარო

653029

- *ინფორმაციის ტრანსფორმაცია*

ინსტრუქცია
ყურადღებით შეისწავლეთ დავალებაში მოცემული დიაგრამები და უპასუხეთ კითხვებს. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცელში გამოყოფილ შესაბამის ადგილას. ქულათა რაოდენობა განისაზღვრება კონკრეტული დავალების მიხედვით.

34. (7) გაანალიზეთ მოცემული დიაგრამები და უპასუხეთ კითხვებს.



<u>**კითხვები:**</u>

34.1. (1) გამოთვალეთ ავსტრალიაში მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) მოცულობა ერთ სულ მოსახლეზე. უჩვენეთ გამოთვლის პროცესი.

34.2. (4) დავალებაში მოცემულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, დაასახელეთ ოთხი შესაძლო პარამეტრი, რის საფუძველზეც შეიძლება დავასკვნათ, რომ ჩამოთვლილი ქვეყნებიდან კანადა ეკონომიკურად უფრო განვითარებულია.

34.3. (2) მოცემული დიაგრამებიდან გამომდინარე, რომელი ქვეყნის ეკონომიკაში აქვს სოფლის მეურნეობას უფრო დიდი როლი? პასუხი დაასაბუთეთ.

- *ტექსტის ანალიზი*

ინსტრუქცია
ყურადღებით შეისწავლეთ დავალებაში მოცემული ტექსტი და უპასუხეთ კითხვებს. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცელში გამოყოფილ შესაბამის ადგილას. ქულათა რაოდენობა განისაზღვრება კონკრეტული დავალების მიხედვით.

35. (11) ყურადღებით წაიკითხეთ ტექსტი და უპასუხეთ კითხვებს:

კახეთის მხარის მოსახლეობა 1897 წელს 169,1 ათასი კაცი იყო, 1926 წ. - 291 ათასი, 1974 წ. კი 425 ათასამდე გაიზარდა. წლების მანძილზე მოსახლეობა აქ იმერეთიდან, რაჭიდან, სვანეთიდან, აჭარიდან, ფშავიდან და სხვა კუთხეებიდან სახლდებოდა. ქართველების გარდა აქ ცხოვრობდნენ და ცხოვრობენ აზერბაიჯანელები, რუსები, ოსები, სომხები, ჩეჩნები და სხვ. 2002 წ. აღწერის მიხედვით მხარის მოსახლეობა 407,4 ათას კაცამდე შემცირდა. მოსახლეობის უმეტესობა სოფლის მეურნეობითაა დაკავებული.

კახეთი სასოფლო-სამეურნეო მიწების სიუხვით და ნაყოფიერებით გამოირჩევა. ამიტომ, სოფლის მეურნეობის პროდუქციის მოცულობით ერთ-ერთი მოწინავეა ქვეყანაში. იგი ძირითადად მეღვინეობითაა ცნობილი.

კახეთის ერთ-ერთი მუნიციპალიტეტი, მშრალი კლიმატის, გვალვების, ძლიერი ქარებისა და წყლის დეფიციტის მიუხედავად, ოდითგანვე განთქმული იყო, როგორც „პურის ბეღელი“. მისი ეკონომიკა წარმოდგენილია მარცვლეულის, ეთერზეთოვანი კულტურების, მზესუმზირის, მეცხოველეობისა და სხვათა წარმოებით. კლიმატის უარყოფითი შედეგების შესარბილებლად აქ ადრე სისტემატურად ხდებოდა ქარსაცავი ზოლების გაშენება, ნიადაგის მორწყვა, საძოვრების განოყიერება და სხვ.

გასული საუკუნის ბოლოდან დაწყებული მუნიციპალიტეტის ეკოსისტემები, ანთროპოგენური ზემოქმედებისა და კლიმატის ცვლილების გამო, სერიოზული პრობლემის წინაშე აღმოჩნდნენ. ენერგეტიკული კრიზისის გამო თითქმის მთლიანად განადგურდა ქარსაცავი ზოლები, შედეგად წელიწადში 1 ჰა ნიადაგიდან დაახლოებით 15-20 ტ ჰუმუსი იკარგება. მთლიანად გამოვიდა მწყობრიდან სარწყავი სისტემების უმეტესობა. ამავე პერიოდში აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთიდან შეწყდა ცხვრის გადარეკვა გამოსაზამთრებლად კასპიისპირეთის საძოვრებზე. რის გამოც, ამ მუნიციპალიტეტში მდებარე ზამთრის საძოვრებზე დატვირთვა 2-3-ჯერ გაიზარდა; შედეგად, გაძლიერდა ნიადაგის დეგრადაციის პროცესი. რამაც საძოვრების ცალკეულ უბნებში ხელი შეუწყო გაუდაბნოების პროცესის გააქტიურებას.

კლიმატის ცვლილების შედეგად შეიმჩნევა სტეპების მცენარეულობის ჩანაცვლება უდაბნოსთვის დამახასიათებელი მცენარეულობით, განსაკუთრებით, სამხრეთ ნაწილში. რაც შეეხება ცხოველთა სამყაროს, აქ თანდათანობით ჩნდება ცხელი კლიმატის რეგიონებისთვის დამახასიათებელი სახეობები. დღეისათვის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს რამდენიმე დაცული ტერიტორია.

<u>**კითხვები:**</u>

35.1.(1) რა იყო XX-XXI სს მიჯნაზე კახეთის მოსახლეობის კლების მიზეზი?

ა. რელიგიური დაპირისპირება
ბ. მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი
გ. შრომითი მიგრაცია
დ. დაჩქარებული ინდუსტრიალიზაცია

35.2. (1) ვიზუალიზაციის რომელი ფორმაა არასწორი კახეთის მოსახლეობის დინამიკის გმოსახვისას?



35.3.(1) რომელი მუნიციპალიტეტის შესახებ არის საუბარი ტექსტში?

ა. გურჯაანის
ბ. საგარეჯოს
გ. ლაგოდეხის
დ. დედოფლისწყაროს

35.4.(1) ტექსტიდან გამომდინარე დაასაბუთეთ, რომ კახეთი დაბალურბანიზებული რეგიონია.

35.5.(2) დაასახელეთ ნიადაგის დეგრადაციის გამომწვევი ორი ანთროპოგენური ფაქტორი.

35.6.(2) დაასახელეთ ორი დაცული ტერიტორია, რომელიც ტექსტში აღწერილი მუნიციპალიტეტის ფარგლებში მდებარეობს.

35.7.(2) ზამთრის რომელი საძოვრები მდებარეობს ტექსტში აღწერილ მუნიციპალიტეტში?

35.8.(1) რომელი პროცესის გაძლიერებას უწყობს ხელს ქარსაცავი ზოლების განადგურება?

<table>
<tr><th>დავალების #</th><th>გეოგრაფია აბიტურიენტები
სწორი პასუხები
მაქსიმალური ქულა -70</th><th>ქულა</th></tr>
<tr><td>1</td><td>ბ</td><td>1</td></tr>
<tr><td>2</td><td>ა</td><td>1</td></tr>
<tr><td>3</td><td>ბ</td><td>1</td></tr>
<tr><td>4</td><td>ბ</td><td>1</td></tr>
<tr><td>5</td><td>ბ</td><td>1</td></tr>
<tr><td>6</td><td>ბ</td><td>1</td></tr>
<tr><td>7</td><td>ბ</td><td>1</td></tr>
<tr><td>8</td><td>ა</td><td>1</td></tr>
<tr><td>9</td><td>ბ</td><td>1</td></tr>
<tr><td>10</td><td>ბ</td><td>1</td></tr>
<tr><td>11</td><td>ბ</td><td>1</td></tr>
<tr><td>12</td><td>ა</td><td>1</td></tr>
<tr><td>13</td><td>ა</td><td>1</td></tr>
<tr><td>14</td><td>დ</td><td>1</td></tr>
<tr><td>15</td><td>ბ</td><td>1</td></tr>
<tr><td>16</td><td>დ</td><td>1</td></tr>
<tr><td>17</td><td>დ</td><td>1</td></tr>
<tr><td>18</td><td>ბ</td><td>1</td></tr>
<tr><td>19</td><td>ბ</td><td>1</td></tr>
<tr><td>20</td><td>ბ</td><td>1</td></tr>
<tr><td>21</td><td>დ</td><td>1</td></tr>
<tr><td>22</td><td>ბ</td><td>1</td></tr>
<tr><td>23</td><td>ბ</td><td>1</td></tr>
<tr><td>24</td><td>დ</td><td>1</td></tr>
<tr><td>25</td><td>ა</td><td>1</td></tr>
<tr><td>26</td><td>ბ</td><td>1</td></tr>
<tr><td>27</td><td>• 0, 1 ან 2 შესაბამისობის დადგენა - 0 ქულა;
• 3, 4 ან 5 შესაბამისობის დადგენა - 1 ქულა;
• 6 ან 7 შესაბამისობის დადგენა - 2 ქულა.
<table><tr><td>ა.</td><td>ბ.</td><td>გ.</td><td>დ.</td><td>ე.</td><td>ვ.</td><td>ზ.</td></tr><tr><td>2</td><td>1</td><td>4</td><td>3</td><td>3</td><td>2</td><td>2</td></tr></table></td><td>2</td></tr>
<tr><td>28</td><td><table><tr><td>ა.</td><td>ბ.</td><td>გ.</td><td>დ.</td><td>ე.</td><td>ვ.</td><td>ზ.</td></tr><tr><td>2</td><td>1</td><td>4</td><td>3</td><td>2</td><td>1</td><td>3</td></tr></table></td><td>2</td></tr>
<tr><td>29</td><td><table><tr><td>ა.</td><td>ბ.</td><td>გ.</td><td>დ.</td><td>ე.</td><td>ვ.</td><td>ზ.</td></tr><tr><td>1</td><td>2</td><td>1</td><td>3</td><td>1</td><td>2</td><td>3</td></tr></table></td><td>2</td></tr>
</table>

<table>
<tr><th>დავალების #</th><th>გეოგრაფია აბიტურიენტები
სწორი პასუხები
მაქსიმალური ქულა -70</th><th>ქულა</th></tr>
<tr><td>30</td><td>
<table>
<tr><td>ა.</td><td>ბ.</td><td>გ.</td><td>დ.</td><td>ე.</td><td>ვ.</td><td>ზ.</td></tr>
<tr><td>1</td><td>2</td><td>4</td><td>2</td><td>4</td><td>1</td><td>3</td></tr>
</table>
</td><td>2</td></tr>
<tr><td>31</td><td>
<table>
<tr><td>ა.</td><td>ბ.</td><td>გ.</td><td>დ.</td><td>ე.</td><td>ვ.</td><td>ზ.</td></tr>
<tr><td>3</td><td>2</td><td>1</td><td>2</td><td>1</td><td>3</td><td>2</td></tr>
</table>
</td><td>2</td></tr>
<tr><td>32</td><td>
<u>შეფასების სქემა:</u>

თითოეული არასწორი პასუხი - 0 ქულა;
თითოეული სწორი პასუხი - 1 ქულა;

<u>დავალების ჯამური ქულა - 10.</u>
<table>
<tr><th>#</th><th>პასუხები</th></tr>
<tr><td>32.1.</td><td>მე-6</td></tr>
<tr><td>32.2.</td><td>მე-11</td></tr>
<tr><td>32.3.</td><td>მე-13</td></tr>
<tr><td>32.4.</td><td>მე-2</td></tr>
<tr><td>32.5.</td><td>მე-15</td></tr>
<tr><td>32.6.</td><td>მე-9 / 3</td></tr>
<tr><td>32.7.</td><td>1-ში</td></tr>
<tr><td>32.8.</td><td>მე-4</td></tr>
<tr><td>32.9.</td><td>მე-12</td></tr>
<tr><td>32.10.</td><td>მე-8</td></tr>
</table>
</td><td>10</td></tr>
<tr><td>33.1.</td><td>
<u>შეფასების სქემა:</u>

არასწორი პასუხი - 0 ქულა;
სწორად შერჩეული მარშრუტი -1 ქულა;
სწორად შერჩეული მარშრუტი და მისი მართებული დასაბუთება - 2 ქულა.

<u>სწორი პასუხის ნიმუში:</u>
უფრო მარტივი იქნება A ჯგუფის მარშრუტი (1ქ.), რადგან ამ მარშრუტის მონაწილეებს უხდებათ უფრო დამრეც ფერდობზე მოძრაობა (1ქ.).
</td><td>2</td></tr>
</table>

დავალების #	გეოგრაფია აბიტურიენტები სწორი პასუხები მაქსიმალური ქულა -70	ქულა
33.2.	<u>შეფასების სქემა:</u> • არასწორი ან მხოლოდ რიცხვით გამოსახული სწორი პასუხი, გამოთვლის პროცესის და ერთეულის ჩვენების გარეშე - 0 ქულა; • სწორად წარმოებული გამოთვლის პროცესი და სწოერი პასუხი - 1 ქულა. *<u>სწორი პასუხის ნიმუში:</u>* *B წერტილი მდებარეობს 175 მეტრიან ჰორიზონტალზე, ხოლო მწვერვალ ქანორის სიმაღლეა 212.8 მეტრი, შესაბამისად, 212.8 – 175 = 37.8 მ.*	1
33.3.	<u>შეფასების სქემა:</u> • არასწორი პასუხი ან პასუხი რომელშიც მოცემულია ორზე მეტი წიაღისეულის ჩამონათვალი - 0 ქულა; • თითოეული სწორად დასახელებული წიაღისეული - 1 ქულა. • წიაღისეულისთვის მოცემული მართებული დასაბუთება, რომელიც არ შეიცავს ფაქტობრივ შეცდომას - 1 ქულა; *<u>დავალების ჯამური ქულა - 3.</u>* *<u>სწორი პასუხის ნიმუში:</u>* ✓ *რუკის მიხედვით მოცემულ ტერიტორიაზე მიმდინარეობს თიხისა (1ქ.) და ქვანახშირის (1ქ.) სამრეწველო მოპოვება;* ✓ *რადგან რუკაზე ჩანს, რომ აღნიშნულ საბადოებამდე სპეციალურად არის მიყვანილი რკინიგზის ხაზები (1ქ.).*	3
34.1.	<u>შეფასების სქემა:</u> • არასწორი ან მხოლოდ რიცხვით გამოსახული სწორი პასუხი, გამოთვლის პროცესის ჩვენების გარეშე - 0 ქულა; • სწორად ნაჩვენები გამოთვლის პროცესი და სწორი პასუხი - 1 ქულა. *<u>სწორი პასუხის ნიმუში:</u>* *ავსტრალიის მშპ უნდა გავყოთ ქვეყნის მოსახლეობაზე, მიღებული ციფრი იქნება მშპ ერთ სულ მოსახლეზე:* *667 000 000 000 : 20 000 000 = 33 350 აშშ დოლარი.*	1
34.2.	<u>შეფასების სქემა:</u> • არასწორი პასუხი - 0 ქულა; • სწორად დასახელებული თითოეული პარამეტრი - 1 ქულა; *<u>დავალების ჯამური ქულა - 4.</u>* *<u>სწორი პასუხის ნიმუში:</u>* ✓ *ეკონომიკის დარგობრივი სტრუქტურა - 1ქ.;* ✓ *ექსპორტის მოცულობა - 1ქ.;* ✓ *მშპ-ს მოცულობა - 1ქ.;* ✓ *მშპ ერთ სულ მოსახლეზე - 1ქ.*	4

დავალების #	გეოგრაფია აბიტურიენტები სწორი პასუხები მაქსიმალური ქულა -70	ქულა
34.3.	<u>შეფასების სქემა:</u> • არასწორი პასუხი - 0 ქულა; • სწორად დასახელებული ქვეყანა დასაბუთების გარეშე - 1 ქულა; • სწორად დასახელებული ქვეყანა და მართებული დასაბუთება, რომელიც არ შეიცავს ფაქტობრივ შეცდომას - 2 ქულა. *<u>სწორი პასუხის ნიმუში:</u>* ✓ *სოფლის მეურნეობას ყველაზე დიდი როლი უკავია არგენტინის ეკონომიკაში - 1ქ.;* ✓ *მიუხედავად იმისა, რომ არგენტინისა და კოლუმბიის ეკონომიკის დარგობრივ სტრუქტურაში თანაბარი წილი უჭირავს სოფლის მეურნეობას, არგენტინის ექსპორტის მთლიან მოცულობაში თითქმის ნახევარი უკავია სოფლის მეურნეობის პროდუქციას - 1 ქ.*	2
35.1.	ბ	1
35.2.	ბ	1
35.3.	დ	1
35.4.	<u>შეფასების სქემა:</u> • არსწორი პასუხი - 0 ქულა; • მართებული დასაბუთება, რომელიც არ შეიცავს ფაქტობრივ შეცდომას - 1 ქულა. *<u>სწორი პასუხის ნიმუში:</u>* *ტექსტში ნახსენებია, რომ კახეთის მოსახლეობის უდიდესი ნაწილი სოფლის მეურნეობაშია დასაქმებული. აქედან გამომდინარე შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მოსახლეობის უმეტესობა სოფლად ცხოვრობს და შესაბამისად, კახეთის ურბანიზაციის დონეც დაბალი იქნება.*	1
35.5.	<u>შეფასების სქემა:</u> • არსწორი პასუხი ან პასუხი რომელშიც მოცემულია ორზე მეტი ფაქტორი, რომელთგან ერთი მაინც არასწორია - 0 ქულა; • სწორად დასახელებული თითოეული ფაქტორი - 1 ქულა; *<u>დავალების ჯამური ქულა -2</u>* *<u>სწორი პასუხის ნიმუში:</u>* ✓ *ქარსაცავი ზოლების გაჩეხვა - 1ქ.;* ✓ *საძოვრებზე დატვირთვის 2-3-ჯერ გაზრდა - 1ქ.*	2
35.6.	<u>შეფასების სქემა:</u> • არასწორი პასუხი ან პასუხი რომელშიც მოცემულია ორზე მეტი დაცული ტერიტორია, რომელთაგან ერთი მაინც არასწორია- 0 ქულა; • სწორად დასახელებული თითოეული დაცული ტერიტორია - 1 ქულა; *<u>დავალების ჯამური ქულა - 2.</u>* *<u>სწორი პასუხის ნიმუში:</u>* ✓ *ვაშლოვანის ეროვნული პარკი;* ✓ *ჭაჭუნას აღკვეთილი.*	2

დავალების #	გეოგრაფია აბიტურიენტები სწორი პასუხები მაქსიმალური ქულა -70	ქულა
35.7.	<u>შეფასების სქემა:</u> • არასწორი პასუხი - 0 ქულა; • სწორად დასახელებული თითოეული ზამთრის საძოვარი - 1 ქულა; *<u>დავალების ჯამური ქულა - 2.</u>* *<u>სწორი პასუხის ნიმუში:</u>* ✓ *შირაქის - 1ქ.;* ✓ *ელდარის - 1ქ.*	2
35.8.	<u>შეფასების სქემა:</u> • არსწორი პასუხი - 0 ქულა; • სწორად დასახელებული პროცესი - 1 ქულა. *<u>სწორი პასუხის ნიმუში:</u>* ✓ *ნიადაგის დეგრადაცია - 1ქ.*	1